№ 187

პარასკევი, 31 აგვისტო, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12. . .	10 —	6 . . .	6 —
11. . .	9 50	5 . . .	5 50
10. . .	8 75	4 . . .	4 75
9. . .	8 —	3 . . .	3 50
8. . .	7 25	2 . . .	2 75
7. . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1901

ივერია

ტფილისი

№ 187

პარასკევი, 31 აგვისტო, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ექიმი

ვასილი მიხეილის-ძე

მანსვეტოვი

იღებს ყოველ დღე, გარდა კვირა დილისა, ავადმყოფებს შინაგან, ძარღვებისა, საბავშვო და ვენერიულ ავადმყოფობით.

ვოდოვოზნი ქუჩა, ს. ახვერდოვისა, № 29, ძველი სახელმწიფო თეატრის ახლო.

(20—187—3).

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ქ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. [illegible]აპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვებისავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 საათ.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს. - რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშნით.

დირექტორი სამკურნმლოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
Навасардіана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

სასწავლებელი და პანსიონი

ა. მამულაიშვილისა.

ოლგას ქუჩა (Ольгинская), № 13. ყმაწვილებს იღებენ ყოველ დღე. სწავლა 1 სექტემბრიდამ.

(10—181—9)

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამ წლის ენკენისთვიდან თავისუფლდება ადგილი საზოგადოების თონეთის სასოფლო სკოლის მასწავლებლისა. ვისაც ჰსურს აღნიშნული ადგილი დაიჭიროს, უნდა მოჰმართოს გამგეობას თხოვნით და თანვე წარმოადგინოს საჭირო დოკუმენტები.

(3—უ—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჩიჩინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

ე. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

გ. გ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის, 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი.—საქირურგო, 12½—1½ საათ. სამშაბათობით. 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1½—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ქ. ქუთაისში

ქალაქის ექიმი

ი. ი. ჩარექოვი

გადავიდა ბინად ტფილისის ქუჩაზე, თ. ნიჟარაძის სახლში, № 46, აბორინის სახლის გვერდში.

იღებს ავადმყოფებს 10—12 საათამდის.

(8—185—5)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (ნ.)

ახალი ამბავი

—

*** ხარკოვიდგან გვწერენ: 21 მარიამობისთვეს დასრულდა მისაღები ეგზამენები ხარკოვის ტეხნოლოგიურს ინსტიტუტში. მიღებულ იქმნა სულ 271 კაცი, რომელთა შორისაც სამი ქართველია: ვ. გელოვანი, კ. მაისურაძე და ვ. ფაღავა.

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ბ-ნს ზავადსკის საშუალო სასწავლებლების ისტორიის მასწავლებლებისათვის წინადადება მიუცია, რომ მთელის ოლქის გიმნაზიებში სახმარებლად ამ საგნისათვის ერთი სახელმძღვანელო შეადგინონ. ამ აზრით 28 აგვისტოს უკვე ჰქონიათ კრება მასწავლებლებსა და მოულაპარაკნიათ, რა რიგად იქნეს შედგენილი ეს სახელმძღვანელო.

*** უწმიდეს სინოდთან არსებულს სამოსწავლო კომიტეტში სასულიერო სემინარიების პროგრამების განხილვას შესდგომიან. პროგრამის განხილვაში მონაწილეობას თურმე იღებენ სხვა-და-სხვა სემინარიების მასწავლებელნი, პროფესსორები ს.-პეტერბურგის სასულიერო აკადემიისა და ზოგიერთი სასულიერო კაცნი, რომლებსაც წინად მასწავლებლობის ადგილი სჭერიათ.

*** გზათა სამინისტროში ამ ჟამად ლაპარაკი თურმე აღძრული იმის შესახებ, თუ რკინის გზაზედ მომხდარ უბედურების დროს დაზარალებულ მსახურთ როგორის წესით უწამლონ ხოლმე.

*** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვა მიწათ-მოქმედების სამინისტროს იურისკონსულტი ბ-ნი მოსკალსკი.

*** ტფილისში მალე ბერლინიდგან პროფესსორს ვაგნერს მოელიან.

*** 28 აგვისტოს, ნაშუადღევის 3 საათზედ, ტფილისში, გარდაიცვალა კავკასიის სასოფლო მეურნეობის ინსპექტორი ვ. ნ. გეევსკი.

ფელეტონი

—

სამეცნიერო მიმოხილვა.

I

ჰაერი და სიცოცხლე.

3.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ჰაერის შემადგენელ ნივთიერებათა შორის ნახშირ-მჟავა ყველაზედ მავნებელი, მომშხამველი და საშიში გაზია: მოჰარბებული იგი სულ მცირედი ჰკლავს და უზომოდ დიდძალიც მოიძებნება ამ ჩვენს დედამიწაზედ. მაშასადამე, საყურადღებოა ვიცოდეთ, საიდგან და როგორ იძლევა ამ გაზს ბუნება და თუ მოჰარბებული ასე საშიშია, აქამდე რაჰომ ბოლოს არ მოგვიღებს, არსებობა არ მოისპობა?

პირველს კითხვაზედ პასუხი თითქმის ჯაგეთ კიდევაც:

ნახშირ-მჟავას იძლევა ყველა სულდგმული და ცხოველი სუნთქვის დროს. სულ უმცირეს, თვალით უხილავ უჯრედიან არსებიდგან დაწყებული ადამიანამდე ყველანი ჰაერიდგან იღებენ მჟავბადს, რომელიც მათის არსებობისათვის აუცილებლივ საჭიროა და ამოსუნთქვის დროს ანთავისუფლებენ ნახშირ-მჟავას, რომელიც ორგანიზმისათვის მომშხამველია. ნახშირ-მჟავასვე იძლევა შაქრიან ნივთიერებათა დუღილი, მაგალითად, სასმელებისა, ფუილი ცომისა და სხ. ამიტომაც მოხდება ხოლმე, რომ დახურულს სარდაფებში სასმელების დუღილის დროს კაცი ადვილად იხრჩვება და სხ. მიზეზი აქ ნახშირ-მჟავაა. კერძოდ ადამიანებიდგანა და ცხოველებიდგან მამალი დედალზედ მეტს ნახშირ-მჟავას იძლევა, დიდი პატარაზედ მეტს, ახალგაზრდა მოხუცზედ მეტს.

ცნობილია აგრეთვე ის გარემოება, რომ საქმისა და მუშაობისა თუ მოძრაობის დროს გაცილებით მეტს იძლევიან ყველანი, დასვენების დროს ნაკლებს, ჭამისა და მაძღრობის დროს მეტს, შიმშილობის დროს ნაკლებს, სინათლეზედ მეტს, ბნელაში ნაკლებს. ადამიანი, საშუალოდ დღე-ღამეში 1,000 გრამამდე ნახშირ-მჟავას ჰმატებს ჰაერსა. ხოლო, თუ ორგანიზმის სიმძიმის მიხედვით ვიანგარიშებთ, გამოვა, რომ ყველაზედ მეტს პირუტყვებიდგანა და ფრინველებიდგან ჩიტი იძლევა: კილოგრამი ხარისა 3—7 გრამს იძლევა დღე-ღამეში, ინდოურისა და ქათმისა 20 გრ., წიწილისა 56 გრ., ბეღურა-ჩიტისა-კი—60 გრამს, რადგანაც სუნთქვა ფრინველებს ძლიერა აქვთ განვითარებული.

მაშასადამე, თუ რომ დღე-ღამეში ადამიანი საშუალოდ კილოგრამს ნახშირ-მჟავას ანთავისუფლებს და მთელის დედამიწის მცხოვრებთ 1½ მილიარდს ვიანგარიშებთ, გამოვა, რომ მარტოდ ადამიანი დღე-ღამეში 1½ მილიარდ კილოგრამს ნახშირ-მჟავასა ჰმატებს ჰაერსა, ე. ი. 720 მილიონს კუბიკურს მეტრს დღეში, ანუ 547,500,000,000 კილოგრამს წელიწადში, რაიცა 34,218,750,000 ფუთს დაიჭერს.

ასე დიდ-ძალს ნახშირ-მჟავას იძლევა კაცობრიობა, მაგრამ ცხოველებისა და პირუტყვების სამეფო, ჟირარდენის გამოკვლევით, ორჯელ და სამჯერ მეტს უნდა იძლეოდეს. ყოველს შემთხვევაში, თუნდაც ორჯელ მეტი ვიანგარიშოთ, ესეც-კი წელიწადში 68,437,500,000 ფუთს დაიჭერს.

მაგრამ ნახშირ-მჟავას მარტო ცხოველთა სამეფო არა ჰმატებს ჰაერსა. ასეთსავე წყაროთ უნდა ჩაითვალნენ, მაგალ., მცენარეები, რომლებიც ცხოველებივითვე ჰსუნთქავენ, სხვა-და-სხვა ქარხნები, ფაბრიკები და სახელოსნოები, სადაც აუარებელი შეშა, ქვა, ნავთი და სხ. ნივთიერებანი იწვიან (მარტოდ ევროპა სწვამს წელიწადში 500 მილიონზედ მეტს ტონს სხვა-და-სხვა ნივთიერებას, რაიცა 80 მილიარდზედ მეტს კუბიკურს მეტრს ნახშირ-მჟავას დაიჭერს), კერძო სახლები, სადაც დიდ-ძალი ნავთი და ნახშირი იწვის, სხვა-და-სხვა მინერალური წყაროები (ლეკოკის სიტყვით, მარტოდ ოვერნის წყაროები თურმე იძლევა წელიწადში სულ ცოტა 7 მილიარდს კუბიკურს მეტრს ნახშირ-მჟავასა), ცეცხლით მსუნთქავი მთები, ნახშირ-მჟავას ბუნებითი წყაროები, საიდგანაც ეს გაზი პირდაპირ დედამიწის გულიდგან ამოდის (ასეთი, მაგალითად, ძაღლების გამოქვაბული*) ნეაპოლში) და სხ.

ამ გვარ ისე მრავალია წყარო, ნახშირ-მჟავას მომცემი და ისე დიდძალი რაოდენობა მისი (არმან გოტიეს გამოანგარიშებით წელიწად-

---

*) გამოქვაბულის ჰაერი ნახევარზედ მეტს ნახშირ-მჟავას შეიცავს და სულ დაბლაა დაფენილი. როგორც-კი სანახავად მივა ვინმე, თვალ-ყურის დასაჭერად მიჩვეულს კაცს მაშინვე საჩვენებლად გამოქვაბულში ძაღლი შეჰყავს და მაგალითით უხსნის, თუ ძირის ჰაერი გამოქვაბულისა რამდენად მავნე და მომშხამველია. ადამიანი, რომელიც ძაღლთან შედარებით ბევრად მაღალია, გამოქვაბულში თავისუფლადა ჰსუნთქავს, ძაღლი-კი მალე სრულიად იბნიდება, რადგანაც ნახევრად ნახშირ-მჟავიანის ჰაერითა ჰსუნთქავს. ძაღლი მერე გარეთ გამოჰყავთ და აქ, სუფთა ჰაერზედ, ისევე ბრუნდება. მაგრამ, რადგანაც ამ სიამოვნებას საბრალო ცხოველს დღეში რამდენჯერმე ამეორებინებენ, მაშინვე ქეიფი თურმე შეეცვლება ხოლმე და წკმუტუნს მოჰყვება, როგორც-კი გამოქვაბულის სანახავად მოსულს ადამიანს დაინახავს. აი, ამიტომ დაერქვა გამოქვაბულს ძაღლების სახელი.

განსვენებული კავკასიელი იყო, მიღებული ჰქონდა უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სწავლა და მთელი თავისი სიცოცხლე აქ გაატარა სამსახურში. განსვენებულს მთელს კავკასიაში ყველა კარგად იცნობდა, როგორც ღრმად განათლებულს აგრონომსა და რამდენიმე ფრიად საყურადღებო შრომაცა ჰქონდა შედგენილი მეურნეობიდგანა, მეღვინეობიდგანა და მევენახეობიდგან. განსვენებულის გვამს დღეს, 31 აგვისტოს, გასვენებენ ალექსანდრე-ნეველის ეკკლესიაში.

* * სახალხო კითხვებისა და წარმოდგენების აუდიტორიაში ავჭალის ქუჩაზედ კითხვა და წარმოდგენები 20 სექტემბრამდე არ დაიწყება.

* * ქალაქის მოურავმა წინადადება მისცა ყველა სახლის პატრონებს, რომელთა ქონებაც 10,000 მან. მეტადა ფასობს, რომ მომავალის საიუბილეო დღესასწაულობის ხარჯში მონაწილეობა მიიღონ.

* * კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს გუშინ-წინ სხდომა ჰქონდა. საბჭომ, სხვათა შორის, გარდასწყვიტა: სამეურნეო საზოგადოების საპატიო წევრის, კავკასიის მეურნეობის ინსპექტორის ახლად გარდაცვალებულის ვ. ნ. გეევსკის პატივსაცემად საზოგადოების დარბაზში მისი სურათი ჩამოჰკიდონ, გასვენების დროს კუბო გვირგვინით შეამკონ და განსვენებულის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გარდაიხადონ.

* * ტფილისის ქალაქის სამმართველოში 1 სექტემბრიდგან მუშაობა დილის 9 საათზედ დაიწყება და გათავდება ნაშუადღევის 3 საათზე.

* * შაბათს, 1 სექტემბერს, ქართულის დრამატიულ საზოგადოების გამგეობის მეთაურობით სათავადაზნაურო თეატრში გამოსაცდელი წარმოდგენა გაიმართება იმათის მონაწილეობით, რომელთაც დრამატიულს დასში მონაწილეობის მიღების სურვილი განაცხადეს. წარმოსადგენად დანიშნულია კომედია „ადვოკატი მელაძე“ და „პირველი ბუზი“, თარგმანი ვ. გუნიასი. წარმოდგენა საღამოს 8 საათზედ დაიწყება.

* * როგორც შევიტყეთ, ტფილისის სამოსამართლო პალატის სესსია ქ. ქუთაისში 24 სექტემბერს თურმე განიხილავს საქმეს ჰიათურის ბოქაულად ნამყოფის ნ. ნ. არდიშვილისასა და დაბა საჩხერის ბოქაულად ნამყოფის ფიცხელაურისას, რომელთაც სამსახურის დროს დანაშაულის ჩადენა ჰბრალდებათ.

* * კავკასიის სამოსწავლო ოლქის სამმართველომ ქალაქის თვითმმართველობას წინადადება მისცა, რომ ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის ცვლილების პროექტის შემუშავება დააჩქარონ.

* * ბირჟის მეეტლებს ქალაქის გამგეობაში თხოვნა წარუდგენიათ, რომ გამოფენაზედა და სამხედრო ბანაკში წასაყვანი ნიხრი შეცვლილი იქმნეს.

* * როგორც „Кавказъ“-ს შეუტყვია, მომავალს გამოფენაზედ 25—28 სექტემბრამდე სახალხო წარმომადგენელთა მასპინძლობისათვის ადმინისტრაციას 25,000 მან. გადაუდვია.

* * გეოლოგიურს კომიტეტს სამთო ინჟენერი რიაბინინი გამოუგზავნია კავკასიაში, რომ სიღნაღის მაზრაში ნავთიანი მიწები გამოიკვლიოს. რიაბინინი ამ დღეებში მიდის სიღნაღის მაზრაში.

* * ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს სამკურნალო განყოფილება სთხოვს პოლიცმეისტერს დაწვრილებითი ცნობები წარუდგინოს იმის შესახებ, თუ ქალაქში რამდენი სულით ავადმყოფია, რა წლოვანობისა, სქესისა და წოდებისა.

* * ლევან მანთაშევმა განუცხადა გუშინ-წინ პოლიციას, რომ შუა ბაზარში, ალ. მანთაშევის სავაჭრო კანტორის განყოფილებიდგან ვიღაც ბოროტ-განმზრახველს საწერი მაგიდა გაუტეხნია და ფულად 963 მან. და 10 კაპ. წაუღიათ. ქურდობაში ეჭვი მიიტანეს ამ კანტორის მოსამსახურე ა. აკოფოვზე და ა. გრიქოროვზე, რომელნიც პოლიციამ უკვე დააპატიმრა. საქმის გამოსარკვევად და მოპარულ ფულების აღმოსაჩენად სასტიკი გამოძიება დაინიშნა.

* * 30 აგვისტოს, პოლიციის მეორე ნაწილში განაცხადა ვერა ნიკანოროვამ, რომ აგარაკად ყოფნის დროს ვიღაც ბოროტ-განმზრახველს მისი ბინა გაუტეხნია და 300 სხვა-და-სხვა ძვირფასი ნივთები გაუტანია.

* * როგორც ბაქოს სადგურიდგან იუწყებიან, 27 აგვისტოს, საღამოს 7 საათზედ, საცდელად გამოსული ორთქლმავალი უფროს მუშას კასტროვს დასჯახებია, ორივე ფეხი მოუწყვეტია და გული ჩაუმტვრევია. დაშავებული საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაცვლილა.

კავკასიის მომავალი გამოფენა

—

გამოფენის მკურნალს ბ-ნს ყალამქაროვს გამოფენის კამისსარისათვის წინადადება წარუდგენია, რომ გაჭირვების დროს შემწეობის აღმოსაჩენად გამოფენაზედ მუდამ პატარა აფთიექი იქონიონ.

* *

გუშინ-წინ ტფილისის საბალოსნო სკოლაში კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის გამგე-კომიტეტის სხდომა მოხდა გამოფენის კამისსარის თავ. ანდრონიკაშვილის თავმჯდომარეობით. სხდომის დაწყებისათანავე თავმჯდომარის წინადადებით გამგე-კომიტეტმა გამოფენის სამეურნეო განყოფილების გამგის, ახლად გარდაცვლებულის ვ. ნ. გეევსკის ხსენებას ფეხზედ ადგომით პატივი ჰსცა და მის მაგივრად განყოფილების გამგეებად ამოირჩია ბ-ნი როლლოვი და ფილიპოვი. კომიტეტმა დაადგინა ამასთანვე გამოფენაზე ბუფეტის გამმართველისაგან ნაცვლად პირობაში აღნიშნულ 15°/₀ გარდასახადისა ერთხანად 7,000 მან. მიიღოს და ეს ფულები ბუფეტის გამმართველმა კომიტეტს სექტემბრის დამლევამდე წარუდგინოს. კომიტეტის გარდაწყვეტილებით, გამოფენაზე უფასოდ დათვალიერების ნება მიეცემა ტფილისის ყველა სასწავლებლების მოსწავლეთ, მაგრამ წესის დაცვისათვის საჭირო იქმნება სასწავლებლის მთავრობამ კომიტეტს წინდაწინვე შეატყობინოს ხოლმე სია ყველა იმ მოსწავლეთა, რომელთაც გამოფენის დასათვალიერებლად გაჰგზავნის.

გამოფენაზედ შესასვლელი ბილეთები ექსპონენტებს შეუძლიანთ გამგე-კომიტეტის ბიუროში ახლავე მიიღონ. გამოფენა გაიხსნება კვირას, ნაშუადღევის 1 საათზედ. მოწვეულ საპატიო სტუმართა თანადასწრებით გარდახდილ იქნება პარაკლისი და შემდეგ გაიმართება მცირე საუზმე. ნაშუადღევის სამი საათიდგან ყველას მიეცემა ნება გამოფენის დათვალიერებისა.

წერილი შავშეთიდგან

(არდანუჯი)

მეტად საყურადღებოა ჩვენთვის აღვნიშნოთ ის ადგილები, სადაც დასავლეთ საქართველოს ქართველ მაჰმადიანთა შორის ქართული ენა მოისპო. ამისი სისწორით აღნუსხვა ერთობ ძნელია, რადგანაც დღემდის ოსმალეთის ხელში დიდი ძალი ადგილებია დარჩენილი, რომელნიც ძველად სამცხე-საათაბაგოს ნაწილს შეადგენდნენ და სადაც მთლად ქართველ ტომის ერი სცხოვრებდა.

ქართული ენა ძირიანად დამხობილა აღმოსავლეთ-სამხრეთ საქართველოში. აღმოსავლეთ-სამხრეთ საქართველოდგან რომ დასავლეთ საქართველოსაკენ წახვიდეთ, ქართულს ენას ვეღარსად ჰპოვებთ ქართველ მაჰმადიანებში. დამხობილია ყარსის მიდამოებში, სადაც ძველად მთლად ქართველი ტომის სოფლები იყო მოფენილი, დამხობილია მთლად არტაანის (არდაგანი) ოლქის მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანებში. ერთი სიტყვით, ქართული ენა ქართველებს ერთობ დიდს ადგილზედ აქვთ დაკარგული. შედარება რომ შეიძლებოდეს, ეს ადგილები ქართლ-კახეთის ტოლა იქმნება.

რადგანაც ამ ჟამად ართვინის ოლქში გახლავართ, ურიგო არ იქმნება იმ სოფლების სახელები მოგითვალოთ, რომელნიც არტაანის აქეთ, არდანუჩის ნაწილის სოფლებს შეადგენენ და სადაც ქართული ენა მთლად დამხობილია. არტაანის (არდაგანი) საზღვარს აქეთ შემდეგს სოფლებში მოსპობილია ქართული ენა:

იშკინარსა, გუმიშხანსა, ახიზასა, ქუდასა, აგარასა, კლარჯეთსა, სახარასა, ლართსელსა, ოროტისასა, ჩორას, ჯამონდირსა, კაპტანორსა, მაკანარასა და ტანძოთში. აქა სცხოვრობენ ქართველი კათოლიკენი, ენა დაუკარგავთ და სომხურად და თათრულად ლაპარაკობენ. უცოთსა, არნაულსა, დონგუჯიხევსა და ენირაბათში სცხოვრებენ გასომხებული ქართველი კატოლიკენი. დიაკარმუჯსა, მეცკილსა, შუათასა, შავგულარასა, ხერთვისსა, კაშუჩსა, აი-ხარშიასა, ჩირქისსა, ხავსა, სარცალოსა, ხემოკრეულსსა, ვარტლიასა, უნუს-ხევსა, სხოსა, ახაროულსა, ანაკლიასა, მუკურეთსა, ბიჯასა, მოწალრეთსა, ბაცასა, ჟუმოსა, სუაძარასა, ოპის-ჩალასა, ანჩასა, (აქ არის ის ძველი ანჩის ეკლესიის ნაშთი, საიდგანაც XVII საუკ. ნახევარს ტფილისში მოიტანეს შესანიშნავის ხელოვნებით ნაკეთები ანჩის ხატი და დაასვენეს ტფილისს, რომელ ეკლესიასაც დღეს ანჩის ხატი ეწოდება), ანჩქარეთსა, სამცხოსასა, გორაშენსა, ნორგულსა, მოგვთასა, ჩივტიელსა, ჩეთასა, სირასონქუთსა, დომლარასა, ჯარსა, ვანატაში და სხვ.

ყველა ამ სოფლებში ქართველებმა ქართული ენა აღარ იციან. ამ სოფლების დასავლეთით, ჰოროხის ხეობაში, ვიდრე ართვინს (ართვინი, აღშ. II საუკუნეში ქრის. წინ. ფარსმან ქველისაგან) მიუახლოვდებოდეთ, სძევს შემდეგი სოფლები, სადაც ქართული ენა დამხობილია: ბერთა, გამოჩენილი ადგილი ჩვენს ისტორიაში, აქ არის ოპიზის დიდებული ტაძარი, რომელიც დამხობილია; დოლისხანა, ამლაშა, ვარჩაკა, ვაზრია და სვეტი; სვეტს პირდაპირ სამხრეთით სოფ. კორძულია, სადაც ქართველი კათოლიკენი და ქართველი მაჰმადიანები

ში 312,500,000,000 ფუთამდე), რომ არ ვიცით მართლა, თუ იგი თან-და-თან იმატებდა, 100,200-სა და 300 წლის განმავლობაში რა სულდგმული, ცხოველი და მცენარეული-ღა შეჰრჩებოდა დედამიწასა?

მაგრამ ბუნებას ზომიერება თან დაჰყოლია. არის ისეთი ძლიერი საშუალებანიც, რომლებიც ამ გაზს ჰაერს აცლიან და ამწყვდევენ. ასეთ მფარველ და მხსნელ საშუალებათ ცნობილ არიან იგივ ცხოველები, მცენარენი და ოკეანეები.

ამათგან პირველი ადგილი მცენარეებსა აქვთ დათმობილი. მართალია, მცენარეც ცხოველებისავითა ჰსუნთქავს და ნახშირ-მჟავას იძლევა, მაგრამ კვებით ჰაერის ნახშირ-მჟავით იკვებება და დიდ-ძილსაც ჰხარჯავს. როგორც უკვე მოგახსენეთ, მცენარეების ხლოროფილი ამ გაზს მჟავბადათა და ნახშირბადათა ჰხვეწს (разлагаетъ) და 1 ნახშირ-მჟავაზედ თითქმის ერთსავე მჟავბადს იძლევა. ერთის ავტორის გამოანგარიშებით, გაკტარი (0,9 დეს.) ტყისა ან შვირიის ნათესისა იმდენსავე ნახშირ-მჟავას თურმე ჰხარჯავს, რამდენსაც 42 კაცი ამოსუნთქვის დროს იძლევა ამ გაზსა და თავისს მხრივ იმდენსავე მჟავბადს ანთავისუფლებს დახვეწის შემდეგ, რამდენიც 42 კაცსა სჭირდება სუნთქვისა და არსებობისათვის. ამ რიგად მთელის კაცობრიობისათვის რომ საჭირო მჟავბადს მხოლოდ მცენარენი იძლეოდნენ, ამისათვის მხოლოდ 35,714,300 დეს. ტყიანი ადგილი იქნებოდა საჭირო, მაგრამ მჟავბადი სხვებსაც უნდათ, ცხოველებს, მცენარეებსა და სხ.

მეორე ადგილი იმ ცხოველებს უნდა დაეთმოთ, რომლებსაც კირნარევი ჩონჩხი აქვთ (შიგნიდგან თუ გარედგან, სულერთია). მთელი კაცობრიობა, ცხოველთა და ფრთოსანთა სამეფო და ის აუარებელი წყლის არსებანი და ქვემძრომნი, რომელთაც-კი ჩონჩხი აქვთ, ერთს უუდიდესს ნახშირ-მჟავას საწყობს, ანუ საპატიმროს წარმოადგენენ, რადგანაც ძვლების შემადგენელ ნივთიერებათა შორის ნახშირ-მჟავე კირს პირველი ადგილი უჭირავს და ეს ნახშირ-მჟავე კირი-კი ცხოველებს აქვთ ძვლებში შემწყვდეული.

ამ რიგად სიცოცხლის დროს ჰაერიდგან და სხვა-და-სხვა მასაზრდოებელ ნივთიერებიდგან გამორჩეული და გამოწოვილი ნახშირ-მჟავა უერთდება ორგანიზმის ჩონჩხს და ემწყვდევა იმ დრომდის, ვიდრე სიკვდილს შემდეგ ჩონჩხი მთლად გაიხრწნებოდეს და ხელახლად განთავისუფლდებოდეს. მაგრამ საქმე ასე როდი სწარმოებს თურმე. როგორც გეოლოგიური გამოკვლევანი გვიჩვენებენ, უძველეს დროიდგან დღემდის დედამიწის გულში ჩამარხულია თურმე უზომოდ დიდ-ძალი ჩონჩხები სხვა-და-სხვა ცხოველებისა და პირუტყვებისა, რომლებიც არ დახრწნილან და მთლიანად შენახულან. ასეთსავე საწყობებს წარმოადგენენ ზღვებისა და ოკეანეების ძირში მთებად დამდგარნი მარჯანთ ბრაგანნი (коралловые рифы), სადაც დიდ-ძალი ნახშირ-მჟავაა შემწყვდეული. მართალია, ამ შემთხვევაში ვერც მარჯანი და ვერც ძვლები მცენარეულის როლს ვერ ასრულებენ და ნახშირ-მჟავას თავდაპირველ შემადგენელ ელემენტებათ—მჟავბადათა და ნახშირბადათ ვერა ჰხვეწნ, მაგრამ განა ის-კი მცირედი სამსახურია, რომ ამოდენა ნახშირ-მჟავა შეუმწყვდევიათ და ნებას არ აძლევენ ჰაერს შეუერთდეს? გარდა ამისა, თვითეულს გეოლოგიურს ფორმაციაში მოიპოვება კირნარევი ნიადაგი, რომელშიაც აუარებელი ნახშირ-მჟავაა შენახული. ფან-დეხენის გამოანგარიშებით ამ გვარს ნიადაგში, მარტო ქვა-ნახშირის ფორმაცია რომ ავიღოთ, სულ ცოტა ექვსჯერ მეტი ნახშირ-მჟავა უნდა იყოს შემწყვდეული, ვიდრე დღეს ჩვენის დედამიწის ჰაერი შეიცავს. აღნიშნულს გამოანგარიშებას შემდეგ სტერრი ხენტი შეუდგა და დაასკვნა (გამოკვლევის დროს ფან-დეხენის გამოკვლევითაც ხელმძღვანელობდა), რომ, თუ სხვა-და-სხვა გეოლოგიურს ეპოქაში კირში შემწყვდეულს ნახშირ-მჟავას მთლად გავანთავისუფლებთ, 200-ჯერ მეტს დაიჭერს, ვიდრე ჩვენის დედა-მიწის ჰაერია და ისეთი სიმძიმე ექმნებოდა, რომ ნახშირ-მჟავას, როგორც გაზს, მაშინვე სითხეთ აქცევდა, გააწყალებდაო.

მესამე ადგილი, როგორც მოგახსენეთ, ოკეანეს უნდა დაეთმოს.

ბევრი უთუოდ დაუჯერებლად ჩასთვლის იმ დიდს სამსახურს, რომელსაც ამ შემთხვევაში ოკეანეთა და ზღვების მლაშე წყალი უწევს კაცობრიობასა და ქვეყანას. როგორც შლეზინგისა და სეჩენოვის მშვენიერი შრომა ამტკიცებს, მლაშე წყალი ზღვისა და კერძოდ მარილ-ნარევი სითხე და სისხლი საუცხოვო საშუალება თურმე, რომ ჰაერს მოჭარბებული ნახშირ-მჟავა არ შეჰრჩეს და არ მოიშხამოს. შლეზინგის გამოკვლევით, ეს დაუჯერებელი სიკეთე უმისოდ გულ-ქვა და სასტიკ სტიქიონისა (ზღვა-ოკეანეებისა) სულ უბრალოდ თურმე ხდება: როგორც-კი ჰაერს ნახშირ-მჟავა მოეჭარბება, მაშინვე ერთი ნაწილი ამ გაზისა ზღვის წყალში იხსნება და ზღვის ნეიტრალურს ნახშირ-მჟავე კირს (არ იხსნება) უერთდება და შესდგება ორ-ნახშირ-მჟავე კირი, რომელიც წყალში ადვილად იხსნება. სამაგიეროდ, თუ რომ რაიმე მიზეზით ჰაერას ნახშირ-მჟავა კლებულობს, მაშინ ეს ადვილად გასახსნელი ორ-ნახშირ-მჟავე კირი იხსნება და ერთს ნაწილს ნა-

სცხოვრობენ, მაგრამ ორივეში ქართველი ენე დამხობილია. ამ სოფლის ზევით სძევს ქ. ართვინი (ართვანი), სადაც სცხოვრობს 2000 მოსახლე ქართველი კათოლიკე, ქართველი მაჰმადიანნი და გრიგორიანი. კათოლიკეებს და ქართვ. მაჰმადიანებს ენა დაკარგული აქვთ. ართვინში მხოლოდ ორი ქართველი მაჰმადიანი ლაპარაკობს ქართულს, რომელთაგანაც ერთმა, ტაბახძემ, წერა-კითხვაც იცის. ზემოდ მოხსენებულს სოფლებში, სადაც-კი ვიყავ, ყველგანა ვნახე ქართველ მაჰმადიანთა ვაჭრის შვილები და ყველანი თათრულად ლაპარაკობენ და სწერენ დავთრებს, ქართულისა სიტყვაც არ იციან. ზოგს მაღაზიაზედ ქართული გვარი უწერია, მაგრამ ქართული სიტყვაც არ იცის; ასეთია, მაგალითად, ართვინის ქართველ მაჰმადიანთა ბაზაზი ალალიძე, რომლის შვილებსაც თავი ქართველად მიაჩნიათ, მაგრამ ქართული ენა არ იციან და მაღაზიაში დავთრებს თათრულად აწარმოებენ. ჩემი უცბად წამოსვლა ძრიელ ეწყინათ. ქართული ენის შესახებ საუბარი ჩამოვარდა და დიდის თავაზით მთხოვეს, წიგნებს ვიყიდით, რომ ქართული ანბანი ვისწავლოთო. კაცს გული მოუკვდება სწორედ ასეთის სურათების ნახვით.

ართვინის პირდაპირ, ჭოროხის ხეობაში, ჩრდილოეთ მხარეს, აქა-იქ სოფლებში-კი იციან ქართული ენა. ერთი სიტყვით, ართვინის წინ ოთხი ვერსის მანძილზედ მდებარე სოფლებიდგან იწყება ქართული ენა და მიემართება ქანეთამდის; ჩრდილოეთით კარგად შენახულა ქართული ენა; ასევე შენახულა დასავლეთით, აი, ეს სოფლებიც: ართვინის პირდაპირ სოფ. სვეტი, სინქოთი, ბეშვა, ნარცხა, ირსა, ადაგული, ურჩემა, ომანეთი, ნადავარევი, სარჯი, დამპალა, ტრაპელი და ნაავდრევი; ამ სოფლებს აქ იმიტომ ვასახელებ, რომ ართვინის ნაწილს შეადგენენ. ართვინის ოლქში ორი წილი ქართულს ლაპარაკობს და ერთი წილი ოსმალურს. ნელ-ნელა ქართული ენა ფეხს იდგამს და რომელ ქართველ მაჰმადინებშიც აქამდენ ქართული ენის სიტყვაც არ იცოდნენ, იქ ახლა რამდენსამე კაცს ჰნახავთ ქართული ენის მცოდნეს. ერთი სიტყვით, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ართვინის ორ ნაწილზედ მეტი ქართულად მოლაპარაკე მცხოვრებთა რიცხვი დასძლევს დანარჩენს ქართველობას, რომელთაც თავიანთი დედა ენა აღარ იციან, და ამათში ქართული ენა ისევ დამყარდება. ამისი ნიშნები უკვე ვნახეთ. შავშეთშიაც ნელა იდგამს ფეხს, მთელი იმერხევი, მურღული, დასავლეთ ჭოროხის ხევის სოფლელები და მრავალნი სხვანი მთლად ქართულადა ლაპარაკობენ. ერთი სიტყვით, ქართული ხმაურობა იმ სიმძულვარით აღარ სახელოვნებს აქეთ, როგორც დღემდის იყო.

ყველაზედ საყურადღებო აქ ის არის, რომ ქართული ენა შენახულა არამც თუ მარტოდ აღმოსავლეთ საქართველოს იმ ნაწილებში, რომელნიც დღეს რუსეთის სამფლობელოს შეადგენენ, არამედ შენახულა დასავლეთ სამხრეთით იმ ნაწილებშიაც, სადაც ქართველი მაჰმადიანები სცხოვრობენ და ეს ადგილები ოსმალეთის იმპერიის ნაწილს შეადგენენ. მაგალითად, ართვინიდგან აღმოსავლეთით, ჭოროხის ხეობისკენ, ორჯოხამდე, ქართველმა მაჰმადიანებმა ქართული ენა არ იციან, ორჯოხის, ანუ ოსმალეთის სამფლობელო საქართველოში-კი ქართველი მაჰმადიანები ქართულს ენაზედ ლაპარაკობენ. თვითონ მე ვნახე ამ სოფლებიდგან მოსულნი და ყველანი ქართულად ლაპარაკობენ. ესაც უბედურებაა! ახალციხელმა, ახალქალაქელმა, არტაანელმა, ორდანუჯელმა, ოლთელმა, ყარსელმა და სხვა ადგილის მცხოვრებმა ქართველმა მაჰმადიანებმა ქართული ენა არ უნდა იცოდნენ და შორეულ კუთხის ქანეთისა, ხასულისა, პარხლისა, არჯევანიანთა და სხვა ხეობის ქართველთ-კი ქართული ენა უნდა იცოდნენ... ჩვენის კუთხის მოსაზღვრე ქართველ მაჰმადიანებში ქართული ენა მხოლოდ ნატამალობს და ოსმალეთის სამფლობელო საქართველოს მცხოვრები ქართველი მაჰმადიანები-კი ქართულს ენაზედ საუბრობენ. თუ ოსმალეთის მთავრობისაგან ქართულს ენას რაიმე მახვილი არ მოევლინა, მაშინ იქ ქართული ენა დიდ-ხანს შეინახება და არ დაიკარგება. მე თვითონ ვნახე ოსმალოს მცხოვრები ქართველი მაჰმადიანები და მათმა ქართულის ენის ცოდნამ გამაკვირვა. იქ ყველა თავისუფლად თურმე ლაპარაკობს.

ზ. ჭ.

უცხოეთი

ინდოეთი. ინდოეთის მინისტრს ლორდ ჰამილტონს ინგლისის პარლამენტში შემდეგი სიტყვა წარმოუთქვამს: „მიუხედავად ინდოეთში გავრცელებულ შიმშილობისა, ამა მიმდინარე წელს ინდოეთში შემოსავალი აღემატება გასავალს 4,000,000 გირ. სტერლინგით, ხოლო მომავალ წლის ბუჯეტს მოემატა 5,800,000 გირ. სტერლინგი. მტკნარად სცდებიან ისინი, ვინც ამტკიცებენ, ვითომც ინგლისის ბატონობა ინდოეთზედ ძალ-მომრეობაზედ იყოს დამყარებული. არა, იგი დამყარებულია მკვიდრ მცხოვრებთა კეთილ-დღეობის განვითარებაზე, მიწად-მფლობელთა უზრუნველ მყოფლობაზე მევახშეთა თვითნებობისაგან, სხვა-და-სხვა ტომთა და კლასთა უფლების გათასწორობაზე, სარწმუნოებრივ შემწყნარებლობაზე, შინაურ მშვიდობიანობისა და წეს-რიგის დაცვაზე და სხვ. ყველა ამის მისაღწევად ინდოეთში დახარჯულ იქმნა რკინის გზათა გასაყვანად 225,000,000 გირ. სტერლინგი და ზღვით მიმოსვლის მოსაწეს-რიგებლად 25,000,000 გირ. სტერლინგი. ინდოეთში გახსნილ იქმნა სამეურნეო ბანკები მცხოვრებთათვის, შემოღებულ იქმნა ოქროს ფული, წარმატებულ იქმნა ვაჭრობა-მრეწველობა და დაწესებულ იქმნა მტკიცე ეკონომიური და ზნეობრივი კავშირი მეტროპოლიასა და მისს უდიდეს და უმდიდრეს ახალშენს შორის.“

კრიტოსი. როგორც „Jnformation“ იუწყება, კრიტოსის კუნძული ამ ჟამად ფრიად სამწუხარო მდგომარეობაშია თურმე. იგი სრულიად განადგურებულია ომითა და ხშირის არეულობით. მცხოვრებთა რიცხვს 1867 წლიდგან 100,000 კაცი მოაკლდა და ვინც დარჩა, ისინიც სხვაგან გარბიან. ვაჭრობა-მრეწველობა ძალიან დაეცა და კვლავ უფრო დაეცემა, რადგანაც მცხოვრებთ ფული არა აქვთ. კრიტოსელების აზრით, ამ მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლიან მხოლოდ კრიტოსის საბერძნეთთან შემოერთებას. საერო კრების დაშლის დროს ამორჩეულნი იძახოდნენ, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ახლობელი ახალი კრება აქ არ მოხდება, არამედ ათინაში საბერძნეთის საერო კრებასთან ერთადაო. მცხოვრებნი მხურვალე სურვილს აცხადებენ საბერძნეთთან შეერთებისას. უცხო სახელმწიფონი, განსაკუთრებით რუსეთი, რომელსაც დიდი გავლენა აქვს აქა, არწმუნებენ ხალხს, რომ შეერთება დაუყონებლივ მოხდება, თუ პოლიტიკურმა გარემოებამ ხელი შეუწყოო.

სპარსეთი. როგორც თეირანიდგან იუწყებიან, ამ უკანასკნელს დროს იქაც იფეთქა თურმე რევოლუციონურმა მოძრაობამ, რომელიც გამოიწვია მთავრობის მიერ რუსეთის სესხის აღების შესახებ მოლაპარაკებამ. მცხოვრებნი ძალიან უკმაყოფილონი არიან მთავრობით, რომელიც იძულებული შეიქმნა საომარი წეს-რიგი შემოეღო სატახტო ქალაქსა და მის ახლომახლო ადგილებში. ჰფიქრობენ, რომ არეულობის მოთავენი არიანო შაჰთან დაახლოვებულნი პირნი, რადგანაც შაჰი ხშირად ჰპოულობს თურმე თავისს სტოლზედ სამუქარო წერილებსა და პროკლამაციებს. აჯანყებულნი განსაკუთრებით სასტიკს მუქარას უთვლიან დიდს ვეზირს, რომელსაც ამტყუნებენ იმაში, რომ იგი ხმას ავრცელებდა რეფორმებზედ, გზათა გაუმჯობესობაზედ და სხვ. იმ მიზნით, რომ თავისი ჯიბე გაეტენაო. შაჰმა ბრძანება გასცა, რომლითაც თხოულობს ხალხისაგან მოძრაობის მოთავეთა გაცემას. ხოლო დიდმა ვეზირმა თავის მხრივ ხუთხუთი ათასი თუმანი დანიშნა იმათ დასაჯილდოვებლად, ვინც გასცემს რევოლიუციის მოთავეთ. ამის გამო ძალიან გავრცელდა ჯაშუშობა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ამოკრებილი ამბები.

„ვესტმინსტერ გაზეთ“-ში თვეში ორჯერ დაბეჭდილია შემდეგი საუბარი ორის ამერიკელისა.—ერთს სახელად ეწოდება დული, მეორეს ენესი. მისტერ დული—მედუქნეა, მისტერ ენესი—დულის ხშირი მუშტარი.

— დიაღ, ჩემო ბატონო,—სთქვა მისტერ დულიმ—ინგლისელებმა გადასწყვიტეს ომის გათავება; ეხლა უკანასკნელი განკარგულებაა გამოცხადებული. ომი თითქმის გათავებულია.

— მერე რას აკეთებენ? —ეკითხება მისტერ ენესი.

— აი, ბატონო ჩემო—სთქვა მისტერ დულიმ—მთავრობას მოსწყინდა ომიანობა. ომი ყველას ხელს უშლის. პატიოსანი ინგლესელი რომ საომრად მიდის, იმას არ ჰფიქრობს, მთელ საუკუნეს უნდა ვიბრძოლოო. სხვა საქმეცა აქვს. ბურები-კი ბრძოლას თავს არ ანებებენ. სცდილობდნენ როგორმე დაემშვიდებინათ.

„თუ ფარ-ხმალს დაჰყრით და წვერ-ულვაშს გაიპარსავთო,“—ეუბნებოდა ბურებს ლორდი რობერტსი კანდაგარისა—კოსკისა—პრეტორიისა და იმიერ ოკეანეს მხარეთა,—თუ კრიუგერს დაივიწყებთ და იგალობებთ „ღმერთო, ჰფარვიდე მეფეს“, მაშინ ნებას მოგცემთ კედელთან ჩამომწკრივდეთ და ყველას დაგხვრეტავთო. და თუ ამაზე არ დასთანხმდით, სასტიკს ღონისძიებას მივმართამო.“

— არაო,—ეუბნებიან ბურები,—სიამოვნებით დავთანხმდებით,—მაგრამ, უკაცრავოდ არ ვიყვეთ, არ შეგვიძლიანო. მართალია, მეტად სასიამოვნო იქმნებოდა, რომ კედელთან გაჩერებულიყავით და თქვენს ჯარს სროლა ესწავლა—საჭიროც არის ეს თქვენის ჯარისათვის—მაგრამ, უნდა გამოვტყდეთ, მეტად გვიყვარს თავისუფლება და მხიარული ცხოვრება; თუმცა, მართალს ბძანებთ, ჩვენთვის დიდად სასახელო იქმნებოდა, რომ მუსიკით დაგვმარხოთ და ინგლისის დროშა გადაგვაფაროთ ჩვენაო,—ამბობენ ბურები,—ცოტას კიდევ მოვიცდით და თავისუფლად ვიცხოვრებთო სოფლად. ეს ჩვენთვის სასარგებლო

ხშირ-მჟავასას ჰაერს უთმობს. ამ რიგად, ოკეანეები და ზღვები საუცხოვო ავტომატურს ქიმიურს აპარატს თურმე წარმოადგენენ, რომელიც ჰაერისა და ზღვის ნახშირ-მჟავას შორის მუდამ სასტიკს თანასწორობას წონისას (равновѣсiе) იცავს. შლეზინგის გამოანგარიშებით, ოკეანეებსა და ზღვებში 10-ჯერ მეტი ნახშირ-მჟავა უნდა მოიპოვებოდეს, ვიდრე ჰაერში.

ამ რიგად ეს სამი საშუალება სრულიად საკმარისი თურმეა, რომ ჩვენის დედამიწის ჰაერი მოჭარბებულმა ნახშირ-მჟავამ არ მოშხამოს და დაიცვას ის ძვირფასი ზომიერება, რომელიც ძალთა თანასწორობას არასოდეს არ არღვევს. ძნელი წარმოსადგენია, მართლაც, კაცობრიობა და ცხოველთა სამეფო როგორ იბოგინებდნენ აქამდის, რომ მცენარენი,ცხოველები და ოკეანეები ასე გონივრულად არ ემსახურებოდნენ არსებობის აზრსა და სიკვდილსა და სიცოცხლეს თვითონვე არა ჰსაზღვრავდნენ. აი, ამიტომ მოგახსენეთ ზემოდ ბუნებას ზომიერება თან დაჰყოლია-მეთქი.

ამ რიგად გავიცანით მოკლედ, თუ ჰაერის შემადგენელი უმთავრესი ნივთიერებანი—მჟავბადი, აზოტი და ნახშირ-მჟავა რა ბუნებისა და თვისებისანი არიან, მაგრამ არა გვითქვამს-რა ჰაერის შემადგენელ დანარჩენ ნივთიერებათა შესახებ, რომელთა რაოდენობაც ჰაერში ერთობ მცირე, შეუმჩნეველია. ურიგო არ იქმნება მაშ, რამდენისამე სიტყვით ესენიც ვახსენოთ.

ამათგან მეტის ყურადღების ღირსი ისევ ოზონია, რომელიც შენბეინმა აღმოაჩინა 1840 წელს. მოკლედ რომ დავახასიათოთ, ოზონი იგივ შეკუმშული, ორ-კეცი მჟავბადია, მაგრამ ერთობ ცოტა ურევია ჰაერს: 100 კუბიკურს მეტრ ჰაერზედ სულ რაღაც 1—3 მილიგრამი მოდის და ისიც ყოველთვის და ყველგან არ მოიპოვება ჰაერში. ხშირს ტყიანს ადგილებში, ზღვების და ოკეანეების შუა-გულ, აგრეთვე მთებში, შეიძლება ყოველთვის აღმოაჩინოს გამოკვლევამა, მაგრამ როგორც-კი ჰაერი დიდს ქალაქზედ ან ხშირად დასახლებულს ადგილებზედ განვლის, მაშინვე ჰკარგავს, რადგანაც ქალაქები და ხშირად დასახლებული ადგილები სიმჟავის ადვილად შემთვისებელ ორგანიულ ნივთიერებათ მეტს შეიცავენ, ვიდრე მინდვრები, ტყეები, ხღვები და თხლად დასახლებული ადგილები. პარიჟი ამ მხრივ სწორედ მშვენიერს მაგალითს წარმოადგენს. როდესაც ჩრდილოეთის ქარი ჰქრის, პარიჟის სამხრეთ ნაწილში მდებარე ობსერვატორიაში ჰაერს ოზონი სრულიად არ მოეპოვება, როდესაც სამხრეთისა, რომელიც მცირედ დასახლებულს ადგილებზედ მოჰქრის, ჰაერი ოზონს მუდამ შეიცავს. ამიტომაც უმჯობესია, მაშასადამე: კაცმა საცხოვრებლად ქალაქებში ის მხარე ამოირჩიოს, საიდგანაც უმეტეს ნაწილად ქარი ჰქრის და მუდამ სუფთა, გაწმენდილი, ოზონიანი ჰაერი მოაქვს, ვიდრე ის, საიდგანაც ნიავი იშვიათად უბერავს. ტფილისში, მაგალითად, ასეთ ადგილებად მამა-დავითისა და ვერის მხარე უნდა ჩაითვალოს, რომლებსაც ჩრდილოეთის ნიავი მუდამა ჰხვდება.

ოზონის ერთად-ერთ წყაროდ დღემდის ბუნების ელექტრონიზმი და წყლის ელექტროლიზი ითვლება, რომლებიც მხოლოდ განსაზღვრულს პირობებში იძლევიან ამ გაზს, მაგ., ელვა-ქუხილის დროს. ხელოვნურად, ლაბორატორიებში, ოზონს ელექტრონის მანქანა გვაძლევს. ყველაზედ მეტი ოზონი მოიპოვება ჰაერში იქ, სადაც ელვა-ქუხილი ხშირია, მაგალითად, ცხელს ქვეყნებში და ოკეანეების შუა-გულ, სადაც სიმჟავის ადვილად შემთვისებელი ორგანიული ნივთიერებანი მცირედ მოიპოვებიან. ყველას უთუოდ ნაცადი და შენიშნული ექმნება, რომ დიდის ელვა-ქუხილის შემდეგ ჰაერი რაღაც არაჩვეულებრივად სუფთა და სურნელოვანია ხოლმე. აი, ეს სუნია მაჩვენებელი, რომ ჰაერში იმ ჟამად ოზონი ბლომად არის. წლის განმავლობაში ყველაზედ მეტი ოზონი მაისშია ხოლმე, შემდეგ იმ თვეებში, რომლებშიაც ელვა-ქუხილი ხშირია. საფრანგეთის ქიმიკოსის გოტფეილის აზრით, ყველაზედ მეტი ოზონი ზესთა სფეროში უნდა იყოს, რადგანაც ჰაერი აქ მომეტებულად ლურჯია.

ჰაერის შემადგენელ ნივთიერებათა შორისვე უნდა დავასახელოთ აგრეთვე: ნიშადური, რომელიც ჰაერის რამდენსამე მემილიონედს ნაწილს შეადგენს, აზოტის სიმჟავე, ქაობის გაზი, ანუ ნახშირ-წყალმბადი, რომელიც მხოლოდ მეათასედს ნაწილს შეადგენს და გოგირდ-წყალმბადი, (ნაყოფი ორგანიულ ნივთიერებათა გახრწნისა. ერთიც და მეორეც მავნებელი, მომშხამველი გაზია),ბორაქსის სიმჟავე, (ცეცხლით მსუნთქავი მთების ნაყოფია) და იოდი, რომელიც შატენმა აღმოაჩინა ჰაერში და რომელსაც იგი სვანეთში ძლიერ გავრცელებულ ავადმყოფობის ყიყვის (зобъ) მიზეზათა სთვლის. შატენის აზრით, თუ სადმე ჰაერს იოდი ურევია, იქ უთუოდ ეს სენიც გავრცელებულია.

ამათ გარდა, ჰაერში სხვა-და-სხვა მარილის ნაწილაკები და ორგანიული ნივთიერებანიც მოიპოვება, მაგრამ ესენი უმნიშვნელონი არიან.

Morosus.

არისო“. სწორედ ასე უპასუხეს. — „მაშ კარგათ,—სთქვა მაშინ რობერტსმა ლორდმა მთელის ქვეყნისამ,—რაკი ეგრეა, მე შინ დავბრუნდები და კიდევ რამდენიმე ქალაქს დავიპყრობ ჩემის სახელის განსადიდებლად. მე ჯერ ჩემს სიცოცხლეში არ შემხვედრია ბრძოლა თქვენისთანა შეუპოვარ ღ უზრდელ ხალხთან;“—„მე შინ წაველო,“—სთქვა რობერტსმა. წავიდა კიდეც და თვისს მაგიერად ლორდი კიტჩენერი დასტოვა. აბა მაშინ გამწვავდა ბრძოლა! გაზეთები მუდამ დღე საოცარ ამბებს ჰბეჭდავდნენ ამ ომის სისასტიკეზე. ვკითხულობდით, რომ „დიდად პატივცემულის ლორდისა და გენერალის ტ. პუნტინგტონ-კენუს ჯარი შეჰხვდა კუცენგამერის ჯარს, დაამარცხა, მეტად დიდი ზიანი მიაყენა და უკუ აქცია. კუცენგამერის ჯარს შეადგენდა: თვით კუცენგამერი, მეუღლე მისი მისტრის კუცენგამერისა, ვაჟი-შვილი მათი ავგუსტოსი, მათივე ქალიშვილი ელენე და ძუძუ-მწოვარა მეომარი კუცენგამერი. ყველანი შეიარაღებულნი იყვნენ და ამიტომ, თანახმად 10-სა და 15 მაისსა და 16 ივნისს გამოცემულ ბრძანებათა, სიკვდილით უნდა დაისჯნენ, როდესაც-კი ხელთ ვიგდებთ.“ „დიდად პატივცემული ლორდი და გენერალი პუტინგტონ-კენუ იუწყება, რომ ინგლისის ჯარმა შეიპყრო ერთი ძროხა, ერთი იხვი, ერთი გირვანქა ლორი, ორი ქოთანი მოხარშული ლობიო და ერთი ჰოჭინა. თვით ბურები-კი გაიქცნენ. გენერალს უამბო ძროხამ (ეს ძროხა მოკლულ იქმნა), რომ ბურების საქმე ცუდად არის და დიდ ხანს ველარ იომებენ. გთხოვთ დიდად პატივცემულს ლორდ-გენერალს უბოძოთ ჰერცოგის ხარისხი და ერთი მილიონი ფული. გენერალმა მთელ კვირას იმსახურა ჯარში და მხოლოდ გუშინ წაბრძანდა თავისს სახლში.“ ვერ მომიფიქრებია, მასტერ ენსი, როგორ აიტანეს ბურებმა ყოველივე ეს უბედურება! ბურებს იმდენი ძროხა წაართვეს ინგლისელებმა, რომ მთელს ინგლისს ერთს წელიწადს ეყოფა საჭმელად. ინგლისის ჯარმა ეხლა კარგად იცის ძროხის მოვლა.

მიუხედავად ამისა ის ჯიუტი ბურები მაინც არ დაემორჩილნენ ინგლისელებს. მაშინ კაბინეტი სათათბიროდ შეიკრიბა. „მე ვხედავო,—სთქვა ლორდმა სოლსბერიმ—რომ ბურების საქციელი ყოველსავე თავიზიანობას და ზრდილობას არის მოკლებული. ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს. ჩვენ არ შეგვიძლიან რამდენსამე საუკუნეს შევინახოთ იქ სამასი ათასი ჯარის კაცი და ამასთანავე მსწრაფმსროლელი მგოსანი რუდიარდ კიპლინგი. მეომარნი აქ გვესაჭიროება, რომ ცხენები შეკმაზონ და საცეკვაო სადამოები გამართონ. მას აქეთ, რაც რუდიარდი წავიდა, ერთი რიგიანი პოემა არ დაწერილა არც ბაზრისა, არც ბანკისა, არც მრეწველობისა და არც ველოსიპედების ქარხნების შესახებ. რაო, რა ჰგონიათ ბურებს, ნუ თუ ჩვენ იმაზედ მეტი საქმე არა გვაქვს, რომ იმათა ვსდიოთ? გთხოვთ, ბოლო მოუღოთ ამ საქმესაო!“—სთქვა სოლსბერიმ. მერე როგორ მოვუღოთ ბოლოო? როგორაო და ისე: ჩავყაროთ ბურები ქვაბში, დავასხათ ზეთი, ავადუღოთ და ყველანი შიგ ამოიხარშებიანო. ზოგმა ეს არ მოიწონა. ასეთის უბრალო საქმით ბურებს ვერას დავაკლებთო. ზოგმა სთქვა, მოდი, ლორდს მილნერს ჰერცოგის ხარისხი მივცეთ, ბურებს შეეშინდებათ და დაწყნარდებიანო, მაგრამ ამაზე სხვა ჰერცოგები არ დასთანხმდნენ. ბოლოს, დიდის თათბირის შემდეგ გადასწყვიტეს—გამოვაცხადოთ, რომ ეს ომი წესიერი და კანონიერი არ არისო. დიაღ, ბატონო, გამოაცხადეს, რომ უ-რე-გუ-ლია-რო ომი წესიერად არა სწარმოებსო, მორჩა და გათავდა. ამიერიდგან, თუ ბური საბრძოლველად გამოვიდა, პოლიციელნი მოჰკიდებენ ხელსა, გაიყვანენ ბრძოლის ველიდგან და გათავდა საქმე. ლორდმა კიტჩენერმა შემდეგი განცხადება დასწერა. (ლორდი კარგი მწერალია). „ბატონებო,—დასწერა ლორდმა—ომი გათავებულია. იქმნება თქვენ ეს ჯერ არ იცით, მაგრამ ასე-კი არის. თქვენ წესიერება დაარღვიეთ და ჩვენ არ გვინდა, რომ ვინმე უწესოთ გვებრძოლოს. თუ ვისმეს ბრძოლა უნდა ინგლისთან, წესიერება მოითხოვს, რომ მტერმა უეჭველად წითელი ან ცის-ფერი მუნდირი ჩაიცვას; ეს ერთი. გარდა ამისა, მტერი ძლიერ ახლო უნდა მოვიდეს ჩვენთან და ვიდრე ჩვენი ჯარი თოფებს დასცლიდეს, უეჭველად უნდა წაიქცეს და სული განუტევოს. ვინც ცოცხალი დარჩება, ის ჯაშუშად და მოღალატედ უნდა ჩაითვალოს. ვინც დამალვას დააპირებს, ისიც მოღალატეა. მტერს უფლება არა აქვს თითონ დასცალოს თოფი ან ზარბაზანი. ბურების ჩვეულება—ტყეში და კლდეში ჩამალვა და იქიდგან ჩვენის ჯარის დახოცვა—მეტად საზიზღარი და გასაკიცხი ჩვეულებაა. გარწმუნებთ, რომ ომი გათავებულია და თქვენი ქვეყანა ჩვენ გვეკუთვნის. ვთხოვ ყველა ბურს თავი გაანებოს ამ უსარგებლოსა და სულელურს ომს და მოვიდეს ჩემთან, რათა სიკვდილით იქმნას დასჯილი.“

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

28 აგვისტო.

ბუფფალო. დღეს მკურნალმა მაკ-ბერნეიმ განაცხადა: ძნელია იმის თქმა, რომ მაკ-კინლეის ამიერიდგან განსაცდელი აღარ მოელისო. შეიძლება ჯერ კიდევ ავადმყოფობა გაძნელდეს ერთის კვირის განმავლობაში. თუ ამის შემდეგ საქმე კარგად წავიდა, პრეზიდენტი უეჭველად განიკურნება. უთუოდ სამიოდე კვირა გავა, ვიდრე ავადმყოფის გადაყვანა შეიძლებოდეს. მეორე მკურნალმა, მანმა, შენიშნა, რომ განსაცდელს ჯერ არ გაუვლიაო. ამავე ექიმის სიტყვით, დღეს ავადმყოფს უკანა ტანიდგან ასაზრდოვებდნენ.

ფრიდენსბორგი. 28 აგვისტოს მეფე ედუარდი, ხელმწიფე მემკვიდრე მიხეილ ალექსანდრეს-ძე, დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული და ჰერცოგი პეტრე ალექსანდრეს-ძე ოლდენბურგისა აქ მოვიდნენ ნაშუადღევის პირველ საათზედ. სადგურზედ მათ მოხელენი დაჰხვდნენ. ქალაქი ბაირაღებით იყო მორთული. ხალხი აღტაცებით ეგებებოდა უავგუსტოეს სტუმრებს.

ფრიდენსბორგი. მეფე ედუარდი აქ ერთ კვირას დაჰყოფს, შემდეგ დედოფლისა და პრინცესის ვიქტორიითურთ ინგლისში დაბრუნდება.

მადრიდი. მოროკოში ტყვედ მყოფი ესპანელნი ჯან-მრთელად არიან. ერთის გაზეთის სიტყვით, საქმეა დაწყობილი იმათ განსათავისუფლებლად.

ქრისტიანია. მთავრობამ დოქტორ ზიტურ იბსენს მიანდო შემუშავება პროექტისა ნორვეგიისათვის საკუთარ საელჩო კორპუსის მოწყობის შესახებ.

ბუფფალო. დილის 7 საათზედ გამოცემულ ბიულლეტენში ნათქვამია: „პრეზიდენტმა წარსული ღამე ძალიან კარგად გაატარა; ესე პრეზიდენტს არც ერთი ღამე არ გაუტარებია. მაჯა—118, ტემპერატურა—100,4, სუნთქვა—28“.

ბოსტონი. პოლიციას ლაპარაკი აქვს ანარქისტთა კლუბებისა და კავშირების დახურვის შესახებ.

პიტსბურგი. დააპატიმრეს ორი აქაური ანარქისტი, რომელნიც მეგობრულ განწყობილებაში არიან ემმა გოლდმანთან.

ჩიკაგო. აქაურ პოლიციის უფროსმა განაცხადა, რომ ემმა გოლდმანი, რომლის ლექციების ზეგავლენის წყალობით ჩოგლოსმა განიზრახა პრეზიდენტის მოკვლა, მახლობლად არის და პოლიციის ზედამხედაობის ქვეშ იმყოფებაო.

ბუფფალო. მოხელენი ყოველ საშუალებას იხმარენ, რომ სენსაციონურმა პრესსამ ვპირად არდასახოს ჩოგლოსი და არ შეაქოს იგი. ამიტომ რეპორტიორებს ნება არ მიეცემათ ჩოგლოსის ნახვისა.

განჯა. იმ ყაჩაღთაგან, რომელთაც 23 აგვისტოს ყაზახის მაზრაში, უზუნტალას სადგურის მახლობლად კერძო ომნიბუსი გაძარცვეს, პოლიციამ შეიპყრო ერთი და ვაიგო დანარჩენთა ვინაობა. ამას გარდა მოპარულ ნივთების ნაწილიც იპოვნეს. ბოქაული იქმნა გაგზავნილი ყაჩაღების მოსაძებნად და შესაპყრობად.

კიევი. ივლისში ჰლექისაგან გარდაიცვალა ფლავიანე დიმიტრის-ძე ვასილევსკი, რომელმაც მთელი თავისი ქონება, 150,000 მანეთი საზოგადო და საქველ-მოქმედო საქმეებს შესწირა; აქედგან 80,000 სენატორიის გასამართავად ჰლექიანთათვის. დანარჩენი გადადებულია სტიპენდიებისათვის უნივერსიტეტსა და საპოლიტეხნიკო ინსტიტუტში.

ხარკოვი. 19 აგვისტოს ადგილობრივ გაზეთების რედაქტორები და სხვა ქალაქის გაზეთების ხარკოველი კორესპონდენტები შეიკრიბნენ „ნოვოსტში“ დაბეჭდილ იმ ხმების გამოსარკვევად, ვითომ ადგილობრივ პრესსას 5000 მანეთი ქრთამი აეღოს ხარკოვის სადგილმამულო ბანკის გამგეობისაგან. კრებამ საჭიროდა სცნო შემდეგის საკითხის გადაწყვეტა: თავდაპირველ გამომძიების მასალაში არის თუ არა ისეთი რამ, საიდგანაც მტკიცდებოდეს, რომ რომელსამე გაზეთს ქრთამი აეღოს. რადგანაც, კრების აზრით, ამ საქმეში ჭეშმარიტების გამორკვევა მარტო სამოსამართლო მოხელეებს შეუძლიანთ, კრებამ დაადგინა დაავალოს ამ სამ გაზეთის რედაქტორს, მიჰმართონ და შეეკითხნენ ამის თაობაზედ საგანგებო საქმეთა გამომძიებელს იუშნევსკის. რედაქტორებმა მონდობილება 27 აგვისტოს შეასრულეს. გამომძიებელმა განაცხადა, რომ ოფიციალურად ამ საქმის გამორკვევა შეუძლებელია იმ დრომდე, ვიდრე ბანკში მომხდარ ბოროტმოქმედებათა საქმე სასამართლოში არ გაირჩევაო.

29 აგვისტო.

პეტერბურგი. 28 აგვისტოს ხელმწიფე იმპერატორი და დედოფალი იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული უავგუსტოესის შვილებითურთ დანიაში წაბრძანდნენ: ხელმწიფე იმპერატორი „შტანდარტის“ იახტით—დანციგში, ხოლო დედოფალი—კილში „პოლიარნაია ზვეზდათი.“ 28 აგვისტოს „შტანდარტზედ“ საუზმე იქმნა გამართული, რომელსაც დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალნი იმპერატრიცანი მარიამ თეოდორეს ასული და ალექსანდრა თეოდორეს ასული, დანიის მეფე, ინგლისის მეფე და დედოფალი, საბერძნეთის მეფე, ხელმწიფე მემკვიდრე, დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული, დანიის მემკვიდრე პრინცი და პრინცესსა, პრინცესსები ტირა, ლუიზა, მოდ, ვიქტორია, ალექსანდრინა და ინგებორგი, პრინცები ქრისტიანე, პეტრე ალექსანდრეს ძე, ნიკოლოოზ საბერძნეთისა და იოანე გლიუკსემბურგისა, მინისტრები და ამალა. საუზმის შემდეგ უავგუსტოესნი გვამნი ინგლისის მეფის იახტაზედ „ოსბორნზედ“ გადავიდნენ, ხოლო ხელმწიფე იმპერატორი „შტანდარტით“ დანციგში წაბრძანდა.

კონსტანტინეპოლი. რუსეთის ელჩის ზინოვიევის მოთხოვნილების თანახმად, სულთანმა გადასწყვიტა გადააყენოს ძველ სერბიაში ზოგიერთი მოხელენი, უმთავრესად ისინი, რომელთაც მართლ-მადიდებელ მცხოვრებთა წინააღმდეგ ალბანელთა წაქეზება ჰბრალდებათ. უკვე დადაყენებულ იქმნენ პრიშტინის გუბერნატორი ჯემალ-ბეი და პოლიციის კომისარები მიტროვიცსა, ახალ ბაზარსა და პრიშტინში.

ბუფფალო. დილის 9 საათის ბიულლეტენი: „დღეს დილით პრეზიდენტი კარგ მდგომარეობაში იყო. თუ ავადმყოფობა არ გაძლიერდა, მოსალოდნელია, რომ პრეზიდენტი მალე მორჩება.“ მკურნალმა პარკმა განაცხადა, რომ მაკ-კინლეის კარგად ეძინაო.

ჩიკაგო. ანარხისტი-ქალი ემმა გოლდმანი დაპატიმრებულ იქმნა.

პარიჟი. ოსმალეთის საიდუმლო პოლიციის უფროსნი საფრანგეთში ფეჰიდუნ-ბეი და ლიპაპიდანი, როგორც ნახევრად ოფიციალურ ცნობებიდგანა სჩანს, საფრანგეთიდგან იქმნენ გაგზავნილნი.

კონსტანტინეპოლი. ოსმალეთის ელჩი პარიჟში მუნირ-ბეი დღეს აქ მოვიდა.

კანეა. უმაღლესის კომისარის მეფის-ძის გიორგის ბრძანებით კრიტის საბჭოს წევრი, რომელიც საფინანსო ნაწილს განაგებს, გადაყენებულ იქმნა თანამდებობიდგან.

კიმბერლეი. სასამართლომ სახელმწიფო ღალატის საქმის განხილვის დროს გადაუწყვიტა ჰოლანდიელ მღვდელს აკერმანს საპყრობილეში დაპატიმრება ერთის წლით და 250 გირვანქა სტერლინგის ჯარიმის გარდახდა, ხოლო მღვდელს გეროლდ ბარრენტონს—1 $^1/_2$ წლით დაპატიმრება და 500 გირვანქის გადახდა.

კონსტანტინეპოლი. ბოლგარიის გარეშე საქმეთა მინისტრმა მიჰმართა საზღვარ-გარედ მყოფ ბოლგარიის საკომერციო აგენტებს ცირკულიარით, რომელშიაც მინისტრი აცხადებს, რომ ბოლგარიის მთავრობა არ მოითმენს ბოლგარიაში მყოფ მაკედონიის კომიტეტის ისეთ მოქმედებას, რომელიც ადგილობრივ კანონებს არ შეეფერებაო. მთავრობამ მტკიცედ გარდასწყვიტა კანონების მოთხოვნილების თანახმად სასტიკად იმ უქმდლოს დასახელებულ კომიტეტის მოქმედებათა წინააღმდეგაო.

ბელგრადი. [illegible] „დღიური“ აცხადებს, რომ გაზეთების მიერ გავრცელებული ხმები კრიზისის შესახებ სიმართლეს მოკლებულიაო.

30 აგვისტო.

მატესფონტეინი. მოსელიდგან ჩრდილოეთ მხარეს 28 აგვისტოს მაიორს კავანას ტერონთან ბრძოლა მოუხდა. მტერი გაიფანტა, არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია. მოკლულია ერთი ბური, დავლათ წაიყვანეს ბევრი კარგი ცხენი. მტერს უთუოდ მოსელზედ თავდასხმა ჰქონდა განზრახული, მაგრამ ხელი შეუშალეს. შეპერსი ლედისმიტის სამხრეთითა სდგას. პოლკოვნიკი კრაბე დილით ვანდერმერკს შეეტაკა; შეტაკების დროს მოკლულ იქმნენ თვითონ და ერთიც სხვა ბური, რამდენიმე დაჭრილია, 37 ტყვედ წაყვანილი.

ლონდონი. კიტჩენერი იუწყება: „28 აგვისტოს მეტუენა ვანკონდერთანა და დელარეისთან ბრძოლა მოუხდა. 24 და 26 აგვისტოს გროტმარსენთან მტერი მაგარი ადგილიდგან განდევნა; მეტუენმა მოკლული დასტოვა 6 კაცი და ტყვედ წაიყვანა 41, დავლათ ურმები და სურსათი დაჰრჩა“.

კილი. გემით „Полярная Звѣзда“-თი ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული უავგუსტოესის შვილებითურთ დილის 10 $^1/_2$ საათზედ მობრძანდა. იმპერატრიცას პრინცესა ირენა მიეგება.

კიევი, 28 აგვისტოს კიევის ვოკზალზედ კანტორის არტელჩიკს ტერეშჩენკის ჩემოდანი მოჰპარეს, რომელშიც 25,000 მანეთი იყო. ქურდები ჯერ არ აღმოუჩენიათ.

მოსკოვი. ბაშკევიჩის სახლის საძირკვლის თხრის დროს ხაზინისაკენ შესახვევ ქუჩაში 6 არშინის სიღრმეზედ თიხის ქილა იპოვეს, რომელშიაც 1,044 ცალი ვერცხლის ფული აღმოჩნდა მეფის მიხეილ თეოდორეს ძისა და ალექსი მიხეილის ძის დროისა. ფული საარქეოლოგო საზოგადოებას გადეცა.

30 აგვისტო.

ნიუ-იორკი. როგორც „New-Iork-Herald“-ის კორრესპონდენტს შეუტყვია, ჩოლგოსი გამოტეხილა, რომ შეთქმულობა ყოფილა და ამ შეთქმულობაში მონაწილეობა ბნერს მიუღია.

ბუფალო. დილის 9 საათზედ შემდეგი ბიულეტენი გამოვიდა: „მაკ-კინლეის ჯანმრთელობას უკეთესობა დაეტყო მას შემდეგ, რაც გუშინ სადამოთი ჭრილობა გაუჭრეს. ავადმყოფმა ხორცის წვენის მიღება შესძლო. დღეს დილით ძალიან კარგად არის. ძარღვი 116 უცემს, ტემპერატურა 100,2 აქვს“.

ბერლინი. იმპერატორების შეყრას გაზეთები თანაგრძნობის წერილებს უძღვნიან.

როგორც „National Zeitung“ ამბობს, განსაკუთრებით ვაჭრობის და პოლიტიკის საგნები გერმანიისა და რუსეთისა არ ეწინააღმდეგებიან ერთი მეორეს; ორთავე სახელმწიფომ მტკიცედ უნდა წასწიოს წინ თავისი ეკონომიური მოღვაწეობა იმ იმედით, რომ ნაცადი მეგობრები სანდონნი არიანო. დანციგის ამბავი სხვისას არავის რას შესძენს, მაგრამ მშვიდობიანობისათვის-კი მტკიცე თავდები იქმნებაო.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 30-го Августа 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118. რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**